ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 89

ქ. თბილისი 18 თებერვალი 2011 წელი.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი", შემდგომში „შემსყიდველი", აღმასრულებელი დირექტორის შ. გოგიჩაიშვილის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს "იბერია ტექ ავტომოტივი" შემდგომში „მიმწოდებელი", აღმასრულებელი დირექტორის ლაშა მიგინეიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა ერთ პირთან მოლაპარაკება.

2.2 ხელშეკრულების საგანია დროებით სარგებლობაში გადმოცემული ავტომანქანის ვაზ 3110 №PAF–201-თვის 4 ცალი საბურავის 205/65R15 94H Barum-ის და აკუმულატორი A-STAR 78 აპმ-ის შეძენა. ერთი ცალი საბურავის ღირებულებაა 150.00 (ასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) და აკუმულატორის ღირებულებაა 180.00 (ასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი). მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი 780.00 (შვიდას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარად დღგ ჩათვლით. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 780.00 (შვიდას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარად დღგ ჩათვლით. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

4. ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 18 თებერვლიდან 2011 წლის 28 თებერვლამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარის-ფაქტურა)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით (სასასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისო უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველო ეროვნული ვალუტით ,ლარით"

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღო ანგარიშსწორებით საქონლის მიწოდებიდან და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8.1.2. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

8.1.3. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით.

8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლება

9.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

9.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

9.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

9.2.1. აწარმოოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;

9.2.2. აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი;

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვის ვადით, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლ

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,1%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
11.2. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. განსაკუთრებული პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
15.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ერთი – "შემსყიდველთან".

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 28 თებერვალი.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ს.ს. "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი"	შ.პ.ს „იბერია ტექ ავტომოტივი"
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №16 ს/კ 212153756	იურ/მის დ.აღმაშენებლის ქ. ფაქტ/მის მარშალ გელოვანის გამზ ს/კ 236093473
ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა" დელისის ფილიალი ანგ. №GE12BR0000010036020037 ბანკის კოდი REPLGE22	სს „საქართველოს ბანკის" ცენტრ/ფილ. №153512100 ბანკის კოდი 220101502
ტელ: 395748	ტელ: 877 22 88 06
_____ აღმასრულებელი დირექტორი შ. გოგიჩაიშვილი	_____ დირექტორი ლ. მიგინეიშვილი